# სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

## საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (რეგულირებადი)

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება** | სამართალი/LAW |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი** | სამართლის ბაკალავრი/Bachelor of Law |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** | საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუ-დენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს.<br><br>სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | ასოცირებული პროფესორი სამართლის დოქტორი ზვიად როგავა<br><br>სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში (დანართი №1) |

**პროგრამის მიზანი**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:

- ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, სამართლის პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ;
- სიღრმისეული ცოდნა და სპეციალური მომზადება საჯარო, კერძო და/ან სისხლის სამართლის დარგებში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
- სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
- სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი.

| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა |
| --- |
| სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.<br><br>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.<br><br>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე. |

| სწავლის შედეგები/ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები | |
| --- | --- |
| **ცოდნა და გაცნობიერება** | • აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის სიღრმისეული ცოდნა, აგრეთვე საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის ცოდნა;<br>• გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი, კომპლექსური საკითხები და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის:<br>• კურსდამთავრებულმა იცის: განმარტების მეთოდები; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; ქონებრივი სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებანი; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | • შეუძლია სამართლებრივი პრობლემების გადასაჭრელად წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება;<br>• აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი;<br>• შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა. |
| **დასკვნის უნარი** | • აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების, აგრეთვე სამართლებრივად დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი. |
| **კომუნიკაციის უნარი** | • აქვს მშობლიურ და B2-ის დონეზე (ხოლო სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩააბარა სხვა უცხოური ენა გარდა ინგლისური ენის B1-ის დონეზე) ინგლისურ ენაზე ინფორმაციის მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემის უნარი;<br>• აქვს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების და ქართულ და B2-ის დონეზე (ხოლო სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად ჩააბარა სხვა უცხოური ენა გარდა ინგლისური ენის B1-ის დონეზე) ინგლისურ ენაზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი;<br>• აქვს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი. |
| **სწავლის უნარი** | • აქვს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის უნარი;<br>• აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი. |
| **ღირებულებები** | • იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.<br>• აქვს ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი. |

**სწავლება-სწავლის მეთოდი**

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☐ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

**დასაქმების სფერო**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშავოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;
- სასამართლო ორგანოებში;
- სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში;
- საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებში ან სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე.

კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი**

სამართლის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგან-მანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი**

სამართლის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- იმიტირებული სასამართლო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

**შენობა-ნაგებობანი -** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს სასწავლო უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

**ბიბლიოთეკა** - სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის

თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (EBSCO; Cambridge University Press ). სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

**აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე** - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

**საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები** - სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

**პროგრამის სტრუქტურა**

სამართლის საბაკალავრო სასწავლო პროგრამა შედგება არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების (A), ინგლისური ენის/უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტის (B), სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულის (C), საჯარო სამართლის მოდულის (D), კერძო/ბიზნესის სამართლის მოდულის (E), სისხლის სამართლის მოდულის (F), საერთაშორისო სამართლის მოდულის (G), პრაქტიკული უნარების კომპონენტის (H) და თავისუფალი კომპონენტისგან (I).

მოდულში გაერთიანებული სასწავლო კურსები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია და თითოეული მათგანის შესწავლა შესაძლებელია, სავალდებულო წინაპირობა იყოს პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული დანარჩენი სასწავლო კურსების შესწავლისა.

**სამართლის საბაკალავრო პროგრამის ელემენტები (240 ECTS)**

| | |
|---|---|
| (A) | **არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 12 ECTS არჩევითი სასწავლო კურსები.** |

არასპეციალობის სასწავლო კურსების საფუძველზე საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი იღებს იმ ზოგადტრანსფერულ უნარებს, რომლებსაც წარმატებით გამოიყენებს საკუთარი სპეციალობის ათვისების პროცესში.

არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 12 კრედიტი. არასპეციალობის არჩევითი კურსები მოიცავს საოფისე კომპიუტერული პროგრამების, კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკის, პოლიტიკის ძირითადი ცნებების, ფილოსოფიის და სხვ. სწავლებას. აღნიშნული სასწავლო კურსები ორიენტირებულია სტუდენტთა მსოფლმხედველობის გაფართოებაზე, ღირებულებათა ფორმირების ხელშეწყობაზე, წერითი და ზეპირი კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე და ინფორმაციის მოძიება-გადაცემის მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებაზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს **არასპეციალობის არჩევითი** სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს **არასპეციალობის** სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

| | |
|---|---|
| (B) | **ინგლისური ენის/უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი - 29 ECTS.** |

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად ჩააბარა სხვა უცხოური ენა, გარდა ინგლისური ენისა უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 29 კრედიტის დაგროვება - სასწავლო კურსების ინგლისური ენა (A1), ინგლისური ენა (A2), ინგლისური ენა (B1), ინგლისური ენა (B1+) და პროფესიული ინგლისური ენის (B1) ხარჯზე.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნად ჩააბარა ინგლისური ენა ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 29 კრედიტის დაგროვება - სასწავლო კურსების ინგლისური ენა (B1), ინგლისური ენა (B1+), ინგლისური ენა (B2), ინგლისური ენა (B2+) და პროფესიული ინგლისური ენის (B2) ხარჯზე.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან უფრო მაღალ დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი) ინგლისური ენის კომპონენტიდან სავალდებულოა 5 კრედიტის დაგროვება - სასწავლო კურსის პროფესიული ინგლისური ენის (B2) ხარჯზე. ამ შემთხვევებში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტის დაგროვება ხდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების, სპეციალობის არჩევითი კურსების ან/და თავისუფალი კომპონენტის ხარჯზე.

**B2 დონის შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატების და ქულების ნუსხა**

| | |
|---|---|
| ტოიფელი (TOEFL PBT) | ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა |

| | |
|---|---|
| ტოიფელი (TOEFL IBT) | ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა |
| ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS) | ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა |
| ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam) | ცოდნის დონე: არანაკლებ FCE |

**(C) სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდული - 18 ECTS, მათ შორის 12 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსები, 6 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები.**

სამართლის საფუძვლებისა და მეთოდების მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს 18 კრედიტი, მათ შორის 12 კრედიტი მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე (შესავალი სამართალმცოდნეობაში, ქართული სამართლის ისტორია), ხოლო 6 კრედიტი მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე (რომის სამართლის საფუძვლები, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი).

**(D) საჯარო სამართლის მოდული - 88 ECTS, მათ შორის 40 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსები, 48 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები.**

საჯარო სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. აღნიშნული მოდულიდან სავალდებულო კომპონენტს ეთმობა 40 კრედიტი, ხოლო არჩევით კომპონენტს 48 კრედიტი.

საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში.

საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 30 კრედიტი, დანარჩენი 18 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს კერძო/ბიზნესის სამართლის, საერთაშორისო სამართლის ან/და სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს საჯარო სამართლის მიმართულების სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

**(E) კერძო/ბიზნეს სამართლის მოდული - 104 ECTS, მათ შორის 56 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსები, 48 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები.**

კერძო/ბიზნეს სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. აღნიშნული მოდულიდან სავალდებულო კომპონენტს ეთმობა 56 კრედიტი, ხოლო არჩევით კომპონენტს 48 კრედიტი.

კერძო/ბიზნეს სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა კერძო/ბიზნეს სამართლის სფეროში.

კერძო/ბიზნეს სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 30 კრედიტი, დანარჩენი 18 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს საჯარო სამართლის, საერთაშორისო სამართლის ან/და სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს კერძო/ბიზნეს სამართლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს კერძო/ბიზნეს სამართლის მიმართულების სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

**(F) სისხლის სამართლის მოდული - 73 ECTS, მათ შორის 25 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსები, 48 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები.**

სისხლის სამართლის მოდული შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. აღნიშნული მოდულიდან სავალდებულო კომპონენტს ეთმობა 25 კრედიტი, ხოლო არჩევით კომპონენტს 48 კრედიტი.

სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში.

სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 30 კრედიტი, დანარჩენი 18 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს საჯარო სამართლის, საერთაშორისო სამართლის ან/და კერძო/ბიზნესის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს სისხლის სამართლის მიმართულების სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

**(G) საერთაშორისო სამართლის მოდული - 24 ECTS არჩევითი სასწავლო კურსები, საიდანაც მინიმუმ 6 ECTS-ის დაგროვება სავალდებულოა**

საერთაშორისო სამართლის მოდული შედგება მხოლოდ არჩევითი სასწავლო კურსებისაგან. საერთაშორისო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების

გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და ინგლისურ ენაზე გაიღრმავოს ცოდნა საერთაშორისო სამართლის სფეროში.

საერთაშორისო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 12 კრედიტი, დანარჩენი 12 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს საჯარო სამართლის, სისხლის სამართლის ან/და კერძო/ბიზნესის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს საერთაშორისო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს საერთაშორისო სამართლის მიმართულების სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

| (H) | **პრაქტიკული უნარების კომპონენტი - 12 ECTS, მათ შორის 6 ECTS სავალდებულო სასწავლო კურსი, 6 ECTS - არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები.** |
|---|---|

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მიმართულ კომპონენტს. აღნისნული კომპონენტის ფარგლებში სტუდენტი გადის პროფესიული ეთიკის სავალდებულო სასწავლო კურსს (6 კრედიტი).

პრაქტიკული უნარების განსავითარებლად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არჩევითი კომპონენტის სახით ითვალისწინებს პრაქტიკულ კურსებს კერძო სამართალში, სისხლის სამართალში და საჯარო სამართლში, რაც გულისხმობს შესაბამის დარგებში პრაქტიკული უნარების განვითარებას და იმიტირებული სასამართლო პროცესის ორგანიზებას. აღნიშნული კომპონენტიდან სავალდებულოა 6 კრედიტის დაგროვება.

კომპონენტის ითვალისწინებს სტუდენტის აქტივობას პრაქტიკული სამართლის კლინიკაშიც. პრაქტიკული სამართლის კლინიკა საშუალებას აძლევს ბაკალავრს მიიღოს პრაქტიკულ უნარებზე დაფუძნებული განათლება და მოიპოვოს შესაბამისი აკადემიური კრედიტი (6 კრედიტი).

| (I) | **თავისუფალი კომპონენტი - 12 ECTS არჩევითი სასწავლო კურსები.** |
|---|---|

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს უფლება აქვს საჯარო სამართლის, საერთაშორისო სამართლის, სისხლის სამართლისა და კერძო/ბიზნესის სამართლის მოდულების არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად, უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებიდან წინაპირობების დაცვით, თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი, მაგრამ არა უმეტეს 12 კრედიტისა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს თავისუფალი კომპონენტის სახით შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

# სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | საგანი\ მოდული | ECTS კრედიტი/საათი[1] | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა[2] | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | საკონტაქტო საათები[3] | დამოუკიდებელი საათები[4] |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | |
| | | | **არასპეციალობის არჩევითი საგნები** | **6** | **6** | | | | | | | | |
| 1. | LAWB001 | არ გააჩნია | საოფისე კომპიუტერული პროგრამები | 6/150 | | | | | | | | | |
| 2. | LAWB002 | არ გააჩნია | ფსიქოლოგია იურისტებისათვის | 6/150 | | | | | | | | | |
| 3. | LAWB003 | არ გააჩნია | ფილოსოფიის შესავალი | 6/150 | | | | | | | | | |
| 4. | LAWB004 | არ გააჩნია | დემოკრატია და მოქალაქეობა | 6/150 | | | | | | | | | |
| 5. | LAWB005 | არ გააჩნია | პოლიტიკის ძირითადი ცნებები | | 6/150 | | | | | | | | |
| 6. | LAWB006 | არ გააჩნია | კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა | | 6/150 | | | | | | | | |
| 7. | LAWB007 | არ გააჩნია | ეკონომიკის პრინციპები | | 6/150 | | | | | | | | |
| | | | **ინგლისური ენის კომპონენტი[5]** | **6** | **6** | **6** | **6** | **5** | | | | | |
| 8. | LAWB008 | არ გააჩნია | ინგლისური ენა (B1.1) | 6/150 | | | | | | | | | |
| 9. | LAWB009 | LAWB008 | ინგლისური ენა (B1.2) | | 6/150 | | | | | | | | |
| 10. | LAWB010 | LAWB009 | ინგლისური ენა (B2.1) | | | 6/150 | | | | | | | |
| 11. | LAWB011 | LAWB010 | ინგლისური ენა (B2.2) | | | | 6/150 | | | | | | |
| 12. | LAWB012 | LAWB011 | პროფესიული ინგლისური ენა - (B2) | | | | | 5/125 | | | | 48 | 77 |
| | | | **უცხოური (ინგლისური) ენის კომპონენტი[6]** | **6** | **6** | **6** | **6** | **5** | | | | | |
| 13. | LAWB013 | არ გააჩნია | ინგლისური ენა (A1) | 6/150 | | | | | | | | | |
| 14. | LAWB014 | LAWB013 | ინგლისური ენა (A2) | | 6/150 | | | | | | | | |
